

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22

2022 წლის 4 ნოემბერი

ქ. ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ნორმატიული აქტების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილი იქნას ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 თებერვლის №12 დადგენილებაში. (www.matsne.gov.ge, 09/02/2018 (010250050.35.167.016362)).

მუხლი 2

დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) საბჭოს თავმჯდომარეობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით საკრებულოს ერთ-ერთი თანამდებობის პირი.“.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

